საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1002-03
26/06/2026

საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დამოუკიდებლად არსებული მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების, მასზე მიღების, სერტიფიკატის გაცემისა და პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის მარეგულირებელი წესის დამტკიცების თაობაზე რექტორის 2016 წლის 11 მარტის N447-02 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-18 მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, რექტორის 2026 წლის 16 ივნისის N1468-02 ბრძანების, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 24 ივნისის N10278-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება "საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დამოუკიდებლად არსებული მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების, მასზე მიღების, სერტიფიკატის გაცემისა და პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2016 წლის 11 მარტის N447-02 ბრძანების 1-ელი პუნქტით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლის მე-2, მე-3, მე-11, მე-15, მე-16 პუნქტებში და "**საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დამოუკიდებლად არსებული მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების, მასზე მიღების, სერტიფიკატის გაცემისა და პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის მარეგულირებელი წესი"** ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

2. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, ეს ბრძანება გააცნოს ყველა ფაკულტეტს/სკოლას, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, შემოსავლების აღრიცხვისა და ანალიზის დეპარტამენტს.

გიორგი გვალია

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი